# საქართველოს მოქალაქეობის აღდგენის წესით მინიჭება

**რა შემთხვევაში შევძლებ საქართველოს მოქალაქეობის აღდგენის წესით მინიჭებას?**

საქართველოს ყოფილ მოქალაქეს, რომელმაც საქართველოს მოქალაქეობა სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მოპოვების გამო დაკარგა, უფლება აქვს, ***2020 წლის 31 დეკემბრამდე*** მიმართოს საზღვარგარეთ საქართველოს საკონსულო დაწესებულებებს და/ან სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საქართველოს მოქალაქეობის აღდგენის წესით მინიჭების მოთხოვნით.
აღნიშნულ პირს საქართველოს მოქალაქეობა აღდგენის წესით მიენიჭება, თუ იგი დადგენილ ფარგლებში ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას;
საქართველოს მოქალაქეობის აღდგენის წესით მინიჭების შემთხვევაში საქართველოს მოქალაქეობა მიენიჭება მის არასრულწლოვან შვილსაც. 14 წლის ასაკს მიღწეულ პირს ამ მუხლის საფუძველზე საქართველოს მოქალაქეობა მიენიჭება მისი თანხმობით.
მნიშვნელოვანია: აღნიშნულ პირებს საქართველოს მოქალაქეობის აღდგენის წესით მინიჭების შემთხვევაში შეუნარჩუნდებათ სხვა ქვეყნის მოქალაქეობა.

## საკითხის განსახილველად საკონსულოში წარმოსადგენია შემდეგი დოკუმენტები:

ა) დადგენილი ფორმის მიხედვით **შევსებული განცხადება**;

ბ) 2 ცალი ფოტოსურათი – ზომით 3X4;

გ) საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (პასპორტის ასლი);

დ) უცხო ქვეყნის მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (პასპორტის ასლი)

აღნიშნოი დოკუმენტების საკონსულოში წარმოდგენის შემდეგ თქვენს საქმეს მიენიჭება განცხადების სარეგისტრაციო ნომერი და კოდი (რომელსაც საკონსულო მოგაწვდით). აღნიშნული ნომრის და კოდის შესაბამისად უნდა გადაიხადოთ 250 ლარის ოდენობის მომსახურების საფასური საქართველოში არსებულ ნებისმიერ იუსტიციის სახლში.

მშობლის/მშობლების არჩევნის შედეგად საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის საფუძვლით საქართველოს მოქალაქეობა აღდგენის წესით პირს შეიძლება მიენიჭოს მის მიერ სრულწლოვანების მიღწევისას.

არასრულწლოვნის ან მხარდაჭერის მიმღები პირის მოქალაქეობის საკითხი განიხილება მათი კანონიერი წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე.

14-დან 18 წლამდე არასრულწლოვანი პირის მოქალაქეობის საკითხზე კანონიერი წარმომადგენლის მიერ წარდგენილ განცხადებას უნდა დაერთოს არასრულწლოვნისა და მეორე

მშობლის (არსებობის შემთხვევაში) წერილობითი თანხმობა. არასრულწლოვანს წერილობითი თანხმობის წარდგენა არ მოეთხოვება, თუ იგი, ამასთანავე, მხარდაჭერის მიმღები პირი.

განცხადება და აღნიშნული დოკუმენტები უნდა წარმოადგინოთ ქართულ ენაზე.
სხვა ენაზე შედგენილი დოკუმენტები მიიღება მხოლოდ სათანადო წესით დამოწმებულ ქართულენოვან თარგმანთან ერთად.

მოქალაქეობის აღდგენის საკითხზე წერილობითი განცხადება და შესაბამისი დოკუმენტები შეიძლება წარმოადგინოთ პირადად, საკონსულოში ვიზიტის დანიშვნის შემდეგ.

**შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენა ასევე შესაძლებელია საფოსტო გზავნილის მეშვეობით, ქ. ვაშინგტონში საქართველოს საელჩოს საკონსულო სამსახურის მისამართზე. საფოსტო გზავნილის შემთხვევაში აუცილებელია განაცხადის დარეგისტრირება შემდეგი ბმულის მეშვეობით - www.geoconsul.gov.ge. განაცხადის რეგისტრაციისას გთხოვთ მიუთითოთ დოკუმენტების წარმოდგენის ფორმაში - საფოსტო გზავნილი.**

**საქართველოს მოქალაქეობის აღდგენის წესით მინიჭების საქამის წარმოების საერთო ვადა არ აღემატება 3 თვეს.**